სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 102 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

საკონკურსო დოკუმენტაცია:

1. საკონკურსო განცხადება.
2. ტექნიკური დავალება.
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

ქ.თბილისი
2011 წელი

საკონკურსო განცხადება

1. სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს უსაფრთხოების და დაცვის სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისში, მინდელის ქ.№9-ში მდებარე სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის კუთვნილი ერთი 9 სართულიანი და ერთი 5 სართულიანი კორპუსის და ტერიტორიის (ეზოს) უსაფრთხოების და დაცვის სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ტექნიკური დავალებისა და მოწოდებული ნახაზების საფუძველზე.

3. საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურეობის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 13600 ლარი, დღგ-ს გარეშე.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (**http://procurement.gov.ge**).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ან მათი გაცემის თარიღი არ შეესაბამება მოთხოვნილ თარიღს, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. <u>საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 28 სექტემბერს.</u>

12. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 29 სექტემბრის 17:00 საათზე.

13. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 29 სექტემბრის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის №60, II სართული. (პაკეტში არ უნდა მოთავსდეს მხოლოდ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი)

14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტების საფუძველზე.

15. <u>კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს და წარმოადგინოს (დალუქული პაკეტით):</u>

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს გარეშე), მხოლოდ ლარში;

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან შემოსავლების სამსახურიდან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა.

- გასაწევი მომსახურების სრული წერილობითი აღწერა, დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების ზოგადი იდეოლოგია, წერილობითი განმარტებები პროექტთან დაკავშირებით;
- ანალოგიური სამუშაოების პროექტის ასლები ნებისმიერ მინიმუმ ერთ კომპონენტში (ვიდეოსათვალთვალო სისტემა, დაშვების სისტემა,) მინიმუმ ერთ სართულზე. შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის შემსიყდველის არ გამხელა კონფიდენციალურობის მიზნებიდან გამომდინარე.
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (მოქმედი), გაცემული კონკურსის გამოცხადების თარიღამდე.
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები;
- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები (ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების დღის შემდეგ პერიოდში):

<u>იურიდიულმა პირმა:</u>

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

<u>ფიზიკურმა პირმა:</u>

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (13600 ლარი, დღგ-ს გარეშე) არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,5;

- იდეოლოგია (წერილობითი განმარტებები პროექტთან დაკავშირებით): კოეფიციენტი – 0,2;
- პროექტის ნიმუშები – კოეფიციენტი 0,2;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: კოეფიციენტი – 0,1;

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარულ დღეში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები და მოთხოვნები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

21. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

23. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებს:
- საკონკურსო დოკუმენტაციებთან გაკავშირებით გიორგი უშვერიძეს, ტელ: 599900262.
- ტექნიკურ დავალებასთან დაკავშირებით ----------, ტელ: ----------.

ტექნიკური დავალება

უსაფრთხოების და დაცვის სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება

მის: ქ. თბილისი, მინდელის№9,
- ერთი 9 სართულიანი და ერთი 5 სართულიანი კორპუსი
- ეზო 1,7 ჰა
- პერიმეტრი დაახლოებით 600 მეტრი, პერიმეტრის ნაწილი გადის მთის ფერდობზე, ნაწილი ტყეში.

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს - სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (მოქმედი), გაცემული კონკურსის გამოცხადების თარიღამდე.

პრეტენდენტი არანაკლებ 3 წლის დარეგისტრირებული უნდა იყოს როგორც გადასახადის გადამხდელი

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

1. პლასტიკური ბარათებით შესვლა ობიექტის ტერიტორიაზე შენობაში და ოთახებში (რამდენიმეში თითის ანაბეჭდით, რაოდენობა დაზუსტდება პროექტირების პროცესში)
2. ლიფტში პლასტიკური ბარათებით ასვლა სართულებზე
3. ეზოში ავტომობილების შესასვლელ კართან დასამონტაჟებელია შლაგბაუმი დისტანციური მართვით

4. ვიდეო კამერები:
- პერიმეტრზე და ეზოში (ღამის ხედვით)
- დერეფნები
- ფოიე
- სტამბა
- საწყობები
- შეხვედრების ოთახები
- საკონფერენციო
- ვენტილაციის მართვის პულტი
- 5 სართულიანი კორპუსის სახურავი (ღამის ხედვით)
- სერვერების ოთახი
- რამდენიმე სამუშაო ოთახი (დაზუსტება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პერიოდში).

კამერებმა სრულად უნდა დაფარონ მოცემული ფართობი, კამერები უნდა იყოს: ფერადი, ზუმით, ონლაინი, ჩაწერის რეჟიმის ჩართვა მოხდეს საკუთარი მოძრაობის სენსორით, შესაძლებელი უნდა იყოს ხმის ჩაწერაც საჭიროების შემთხვევაში, ხმის ჩაწერის რეჟიმის გააქტიურება უნდა იმართებოდეს ადმინისტრატორის მიერ.
5. არსებული სახნაძრო სიგნალიზაციის სისტემის სიგნალების ინტეგრირება ახალ უსაფრთხოების სისტემაში, ოთახებში ბოლის სენსორებიდან - ხმოვანი განგაში უნდა შეტყობინების გაგზავნა ადმინისტრატორთან. (რეკომენდაციები და წინადადებები ერთიან დაცვისა და უსაფრთხოების სიტემასთან მორგების კუთხით)
6. თანამშრომლების სამსახურში დასწრების აღრიცხვა პლასტიკური ბარათებით.

7. ვიზიტორების შეშვება: ეზოში შესვლამდე უნდა გაიცეს პლასტიკური ბარათი მათზე ვისზეც იქნება საშვი დაშვებული, საშვის გაცემისას უნდა დაფიქსირდეს პირადი ნომერი და ვინ დაუშვა საშვი და რამდენი ხნით. რეკომენდაციები ეზოს შესასვლელთან არსებული დაცვის ჯიხურის მოწყობასთან დაკავშირებით, სამუშაო სივრცით უზრუნველსაყოფად შემდეგი მიზნებისთვის: წერილების მიღება კანცელარიის თანამშრომლისთვის, საშვების გაცემა, დაცვის პერსონალი, მოსაცდელი, სამუშაო სივრცე, სველი წერტილები, ტურნიკეტი.
8. საშვი უნდა დაპროგრამდეს გააქტიურებისას და მიეთითოს რომელ სართულებზე აქვს შესვლის უფლება.
9. პერიმეტრიდან გასვლისას საშვის ავტომატური დეაქტივაცია ტურნიკეტით.
10. თაღოვანი მეტალოდეტექტორი და მისი მონტაჟი.
11. დროის ნებისმიერ მონაკვეთში საშვების ანალიზი, და პერიმეტრის შიგნით არსებული საშვების მონიტორინგი, სამუშაო დროის დასრულების შემდეგ საშვების სავალდებულო ელექტრონული ინვენტარიზაცია.
12. ფოიეში შესვლისას ელექტრონული გამშვები მოწყობილობა, რომელიც აღირცხავს საშვების მოძრაობას და აგზავნის ინფორმაციას სერვერზე.
13. ერთიანმა კონტროლის სიტემამ უნდა მოახდინოს ამ მონაცემების დამუშავება და რეპორტების მომზადება.

ხარჯთაღრიცხვაში კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს:

- უსაფრთხოებისა და დაცვის სისტემების პროექტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური ფასეულობებისა (აპარატურა, სამონტაჟო მასალები) და სამუშაოების ღირებულება.
- შეადგინოს შენობის, ტერიტორიისა და დასამონტაჟებელი აპარატურისა, მოწყობილობების და უსაფრთხოების სისტემების დეტალური პროექტი, სისტემის მართვის ოთახის განლაგების ჩათვლით
- გაითვალისწინოს პროგრამული უზრუნველყოფა სისტემის ცენტრალიზებული მართვისთვის და ყველა იმ მოთხოვნისათვის რაც ჩამოყალიბებულია ტექნიკურ დავალებაში და დამატებით შეთანხმდება პროექტირებისას.
- გაითვალისწინოს ინტერნეტით დაკავშირება მართვის სისტემასთან და ინფორმაციის ან კამერებიდან გამოსახულების ონლაინ რეჟიმში ან სასურველი პერიოდის ჩანაწერის მიღება.
- დაპროექტებული ყველა სხვა სამუშაოების განხორციელების ხარჯთაღრიცხვა
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს.

პროექტირების პერიოდში ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი შეთანხმდება შემსყიდველთან. ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

კონფიდენციალურობა

მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ უსაფრთხოების და დაცვის სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ იქნება გამხელილი და გავრცელებული ამა თუ იმ ფორმით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული კონკურსანტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულება №
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი ---------- 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი ---------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და კონკურსანტის (მისი დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №----- საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, მინდელის ქ. №9-ში მდებარე სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის კუთვნილი ერთი 9 სართულიანი და ერთი 5 სართულიანი კორპუსის და ტერიტორიის (ეზოს) უსაფრთხოების და დაცვის სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების შესაბამისად (CPV 71320000 საინჟინრო-საპროექტო მომსახურება)

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ——————— ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს **სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის საკუთარი სახსრებით**.

4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების გაწევა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად.

6.2. მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6.3. პროექტირების პერიოდში ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი შეთანხმდება შემსყიდველთან. ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

6.4. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

6.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის ---------- ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- ხელსეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, გაწეული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და

ზედამხედველობის განხორციელების, აქტების გაფორმების და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების რეგულირების საკითხებში მიმწოდებელთან განახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი ----------

8.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების კოორდინატორს შორის წარმოიშობა უთანხმოება, იგი უნდა გადაწყდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და მიმწოდებელს შორის განხილვის მეშვეობით, ხოლო ამ გზით საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით. რომლის გადახდა მოხდება მეორე მხარის მიერ წერილობითი მოთხოვნის შემდეგ.

9.2. იმ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით, შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია საქონლის ან მისი ნაწილის მოწოდება;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6. მხარე ვალდებულია 10.4. და 10.5 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.
101.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;
13.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
13.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

მუხლი 14. კონფიდენციალურობა

მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ უსაფრთხოების და დაცვის სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ იქნება გამხელილი და გავრცელებული ამა თუ იმ ფორმით.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის ----------ის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ.თბილისი, ივ. ჯავახიშვილის №60
ს.ს. „ბაზის ბანკი“
ა/ა 133560
ბ/კ 220101956
ს/კ 202198727

დირექტორი
მაია მიმინოშვილი

მიმწოდებელი